3- ისტორიული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-78106/12

"25" 12 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.178) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია ბენზინ და გაზგასამართი სადგურის მოწყობა)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1163438 31.02.2014წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2284265 07.11.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ლითერი „ა"

„1-4" ფასადზე: „3-3" ღერძთან კედელზე განთავსებულია კონდიციონერი, ხოლო ცოკოლზე მოწყობილია წყალშემკრები მილი. „2-3" მონაკვეთში +3.00 ნიშნულიდან ზევით შესაღებია კედელი.

„4-1" ფასადზე: „3-2" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფერი და მოწყობილია კონდიციონერი.

„ა-ზ" ფასადზე: შეცვლილია ლოგოს და „მანათობელი ზოლის" მდებარეობა. ასევე შეცვლილია გაზის მარიგებელი სვეტების ბაქნის ფორმა და დამატებით მოწყობილია ერთი სვეტი. აღნიშნულ და „ზ-ა" ფასადზე „ა-ა" ღერძის გარეთ კედლები დამატებით მოპირკეთებულია ალუკაბონდით.

„ზ-ა" ფასადზე: შეცვლილია ბენზინის მარიგებელი სვეტების ბაქნის ფორმა და გაბარიტები. „ვ-ვ" ღერძთან ასევე შეცვლილია დამცავი კედლის ფორმა.

ლითერი „ბ"

„ა-ბ"-„3-4" მონაკვეთში ამოშენებულია კედლები და დამატებულია ფართი. შენობაში დამატებილია ლითონის სვეტები და კოჭი.

„1-4" ფასადზე: შეცვლილია კარის ნახატი და შესაღებია.

ფასადებზე შესაღებია კედლები და შესაფუთია სახურავის გვერდები. სახურავზე ფიქსირდება ტექნიკური მილები.

ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტებს, სახანძრო სტენდს და ბენზინის ფასთმაჩვენებელს მონაცვლებული აქვს ადგილი. ავტოცისტერნის მოედანთან, დამცავ კედელში მოწყობილია ლითონის კარი, ხოლო კართან - ლითონის ბადე. ელექტრო გენერატორის ნაცვლად მოწყობილია სატრანსფორმატორო ჯიხური. დამცავ კედელში „4-1" ფასადის მხარეს მოწყობილია მცირე ზომის ღიობი. არ არის მოწყობილი სარეკლამო ტაბლო.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გაზის ფასთმაჩვენებელს მონაცვლებული აქვს ადგილი და დამატებით მოწყობილია მოძრაობის მაჩვენებელი, რომლებიც ცდება წითელ ხაზს. ასევე დამატებით მოწყობილია გაზის ფასთმაჩვენებელი მოძრაობის მაჩვენებლით, რომელიც ცდება წითელ ხაზს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „TRADE STONE IBERIA"-ს, ვახტანგ ჩახნაშვილს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.178) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია ბენზინ და გაზგასამართი სადგურის მოწყობა)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №78106/12 12.11.2015წ. განცხადება.

გიორგი გეჯაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე